

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №9

კასპი

25.03. 2016 წ.

15.00 სთ.

სხდომას უნდა დასწრებოდა ბიუროს -13 წევრი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა - ილია ზაქარიაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: მ. მერებაშვილი, ზ. ჩიტიშვილი, ი. ქამხაძე, ვ. საჩაღელი, ი. კიტრიაშვილი, შ. ბეგლარაშვილი, ხ.თათანაშვილი, ნ. მიდელაშვილი, ო.ჭეიშვილი, ვ. ბეჟიტაშვილი, ა. ბიძინაშვილი;

დღის წესრიგი

1. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

მოისმინეს:1. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხს. ხ. თათანაშვილი/

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ხ. თათანაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა ფრაქცია „ქართული ოცნება“ წევრების განცხადება. საკრებულოს თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე ფრაქცია „ქართული ოცნება“ აყენებს მანუჩარ მერებაშვილის კანდიდატურას.

ამავე კომისიაში შემოსულია, ცნობის სახით გ. გოგოლაურის განცხადება, ფრაქციის „თავისუფლება“-ს დატოვების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

მომხრე - 12 ხმა
წინააღმდეგი- არავინ
თავი არავის შეუკავებია

